კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქ. თბილისი, ვარკეთილი, სუხიშვილის ქ.№7, ს/კ 01.19.39.029.046

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

ზემოაღნიშნული საპროექტო ობიექტის შენობების ნაკვეთს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ემიჯნებიან სამანქანო გზები, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – სპორტული მოედანი.

საპროექტო ნაკვეთს სამხრეთიდან უშუალოდ ემიჯნება ორი საკადასტრო ერთეული, რომლებზეც განლაგებულია შენობები. კერძოდ, გასული საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული 9 სართულიანი ტიპიური ანაკრები პანელოვანი კონსტრუქციების საცხოვრებელი სახლები. შენობებს გააჩნია ნახევარსარდაფი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაციის საფუძველზე, როგორც არსებული, ასევე საპროექტო შენობების დაფუძნება ხდება მსხვილნატეხოვან (კენჭნაროვან) გრუნტებზე.

საპროექტო შენობებთან ყველაზე ახლოს, 14 მეტრის დაშორებით მდებარეობს 01.19.39.029.027 საკადასტრო ერთეულზე განლაგებული სახლი მისამართით ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი I, კორპუსი 23. მეორე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი (ს.კ. 01.19.39.029.007, კორპუსი 22) საპროექტო შენობიდან განლაგებულია არანაკლებ 21 მეტრში.

საპროექტო გადაწყვეტით საპროექტო შენობას გააჩნია ერთი მიწისქვეშა სართული, რომლის იატაკის ნიშნული არ იქნება 1 მეტრზე დაბლა არსებული 9 სართულიანი სახლების სარდაფებზე. ამავე დროს, საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემებით შენობების დაფუძნება ხდება გრუნტებზე, რომლებიც პრაქტიკულად არაჯდენადია.

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მიმართ სრულად დაცულია სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა:

საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე და მათი კონსტრუქციების მდგრადობა-მზიდინარიანობაზე

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტმდ,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 05-01-2020